ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 26 აგვისტო 2006 №197 (2819) ფასი 50 თეთრი



# ფეხბურთის დიდი ეგო

EXCLUSIVE

ბაჩო სვანიძის ექსკლუზიური ინტერვიუ დიეგო მარადონასთან

იხილეთ 4-5 გვერდები

დასანანია, როცა ბუნდესლიგის ერთ-ერთ გამორჩეულ გუნდს ტოლ-სწორად ეთამაშები, არაფერს უთმობ, თითქმის ჯობნი კიდეც და ამ დროს ნაჯობნი მაინც შენ გამოდიხარ. თბილისის „ამერი“ ძალიან ახლოს იყო სენსაციასთან. მეტიც, „ამერი“ ორჯერ უგებდა „ჰერტას“...
პირველად ოცნება მაშინ იყო ახლოს, როცა „ამერის“ კაპიტანმა გიორგი დავითნიძემ ორი მატჩის ჯამში გამთანაბრებელი გაიტანა. საბოლოო შედეგი იცით, უეფას თასის მომდევნო ეტაპზე „ჰერტა“ გავიდა, დავითნიძეს და სხვა ამერელებს კი საქართველოს ჩემპიონატზე მოუწევთ გადართვა. „ამერის“ კაპიტანს გუშინ გავესაუბრეთ...



ბაჩო კორინთელის ფოტო

# გიორგი დავითნიძე: ჩვენ კლასთან დავმარცხდით

## ჰერტამ ამერს შტურმი არ აცალა

— ახლა, როცა ემოციები განელდა, როგორია ცივი გონებით დანახული „ჰერტასთან“ მატჩი?

— ძალიან ბრძოლისუნარიან და ძლიერ გუნდს ტოლ-სწორად ვეთამაშეთ, არაფერი დავუთმეთ. არ ვაჭარბებ, ზოგ მომენტში ვჯობდით კიდეც. დასანანი გოლები რომ არ გაგვეშვა, მოგებაც შეგვეძლო. ამიტომ უფრო მწყდება გული. კენჭისყრისას „ჰერტა“ ყველაზე ძლიერი იყო ჩვენს სავარაუდო მეტოქეთა შორის. როდესაც გაირკვა, რომ ბერლინელებს ვეთამაშებოდით, შიში თუ .რიდი იქვე გაქრა. მოედანზე რომ გადიხარ, ყველა კომპლექსი უნდა მოიხსნა. დარწმუნებული ვიყავი, ჟინიანი და ჯიგრიანი თამაშით „ჰერტას“ არაფერს დავუთმობდით — ასეც გამოვიდა.

— შენი აზრით, რა დააკლდა „ამერს“ ყველაზე მეტად?

— გამოცდილება და ცოტა კლასიც. „ჰერტამ“ სწორედ კლასის წყალობით მოგვიგო. სულ ორი რეალური მომენტი ჰქონდა და ორივე გამოიყენა.

— თქვი, დასანანი გოლები გავუშვითო. ისე ჩანდა, რომ „ჰერტას“ მეორე გოლი თამაშგარედან გავიდა.

— მეორე გოლისას მეც ასე მომეჩვენა. „ევროსპორტზე“ ხშირად გაიმეორეს ის გოლი და მართლა ძალიან ჰგავდა თამაშგარეს. საერთოდ, მსაჯები რამდენიმე ეპიზოდში აშკარად ბერლინელებს მიემხრნენ. იქით დასადები ჯარიმები აქეთ დადეს. ეტყობა, „ჰერტას“ ავტორიტეტმაც იქონია გავლენა.

— მეორე გოლი რომ არ გაგეშვათ, საბოლოო შტურმისთვის მზად იყავით?

— რა თქმა უნდა... გოლი 83-ე წუთზე გაგვიტანეს. ეს რომ არ მომხდარიყო, ბოლო წუთებში უკვე ვა-ბანკზე მივდიოდით, მეტოქისთვის შტურმი უნდა მოგვეწყო...

**ბაჩო სვანიძე**

# ალადაშვილს 20 მისცეს, ბარაბაძე 18-ს ელის

**დაგვიანებით,** მაგრამ მაინც: დნიპროპეტროვსკის „დნიპრომ“ ოფიციალურად წარადგინა ახალწვეული კახა ალადაშვილი — მას 20-ნომრიანი მაისურა გადასცეს.

შეგახსენებთ: ალადაშვილი კიევის „დინამომ“ „დნიპროში“ პირველი წრის ბოლომდე გაანათხოვრა.

რაც შეეხება „დნიპროში“ მყოფ კიდევ ერთ ქართველს, რევაზ ბარაბაძეს — აი, რა თქვა კლუბის გენერალურმა დირექტორმა ანდრეი სტეცენკომ: „ბარაბაძე ჩვენთან ვარჯიშობს, მაგრამ ასაკის მასთან კონტრაქტის გაფორმება ჯერ არ შეგვიძლია. ოქტომბერში ბარაბაძე 18 წლის გახდება და ჩვენც მერე ვიზრუნებთ მის ტრანსფერზე. თავიდან ალბათ იჯარაზე იქნება ლაპარაკი, მერე კი ვნახოთ, როგორ გამოიჩენს ქართველი თავს.“




გეხსომებათ, ბარაბაძე წინა სეზონში „თბილისში“ თამაშობდა და გუნდის ბომბარდირიც გახდა.

**კახა შალამბერიძე**

# დავით ყიფიანის თასი

## პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩები

25 აგვისტო, პარასკევი

***მესხეთი** ახალციხე* 2:0 **გაგრა** (1:2)

**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი; თ. ხუჭუა, ლ. თოდრია; ა. ნონიკაშვილი

31 აგვისტო, ხუთშაბათი

**ამირანი** თბილისი — **კახეთი** თელავი (1:3)

**მსაჯები:** ი. ურუშაძე; ბ. ჭიჭინაძე, ზ. გურგენაძე; დ. სანოძე

1 სექტემბერი, პარასკევი

**მაღაროელი** ჭიათურა — **ოლიმპი** რუსთავი (1:5)

**მსაჯები:** ა. გუნთაძე; ე. ნარმანია, ა. კოკაია; მ. ურუშაძე

# ევროპის სუპერთასი 2006

## მონაკო. ლუი II

**ბარსელონა** (ესპანეთი) 0:3 **სევილია** (ესპანეთი)

0:1 რენატო (7), 0:2 კანუტი (45), 0:3 მარესკა (90)

### ინგლისი

**ჩემპიონატი. V ტური**

ქუინზ პარკი 1:3 იფსვიჩი

**კონფერენსლიგა. III ტური**

იორკი 3:2 ბარტონი

### გერმანია

**ბუნდესლიგა. III ტური**

შალკე 2:0 ვერდერი

**II ბუნდესლიგა. III ტური**

კარლ ცაისი 3:2 კიოლნი

ფრაიბურგი 1:1 უნტერჰახინგი

ოფენბახი 0:1 კარლსრუე

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა V ტური**

უნიონი 1:0 ემდენი

ვილჰელმსჰავენი 2:1 ლევერკუზენი (მ)

ვუპერტალი 3:0 ალენი

**სამხრეთ რეგიონალლიგა V ტური**

ლაუტერნი (მ) 1:1 მიუნხენი (მ)

ზაარბრიუკენი 1:1 ზიგენი

პფულენდორფი 0:2 როიტლინგენი

დარმშტადტი 1:2 პირმასენსი

### ავსტრია

**I დივიზიონი V ტური**

ადმირა 4:0 ჰარტბერგი

ავსტრია (მ) 0:0 ლეობენი

ლუსტენაუ 1:3 კერნტენი

გრატკორნი 3:1 ავსტრია (ლ)

კაპფენბერგი 0:2 შვანენშტადტი

ლინცერი 3:1 პარნდორფი

### პოლონეთი

**I ლიგა V ტური**

კრაკოვია 1:1 გროცლინი

ზაგლემბე 2:1 ბელხატოვი

### საფრანგეთი

**II დივიზიონი VI ტური**

ამიენი 0:1 გრენობლი

კრეტეი 0:0 აიაჩო

დიჟონი 1:1 ბრესტი

გენგამი 6:1 გენიონი

მეცი 2:1 ბასტია

მონპელიე 0:1 ლიბურნი

ნიორი 0:0 რეიმსი

ტურსი 0:0 სტრასბური

ლე ავრი 2:2 კაენი

### ჰოლანდია

**ერედივიზიონი II ტური**

როდა 1:0 დენ ჰააგი

**II დივიზიონი IV ტური**

აპელდორნი 4:4 გრააფსხაპი

კამბური 0:4 ზვოლე

დენ ბოსხი 2:0 სიტარდი

დორდრეხტი 4:2 ტელსტარი

ეინდჰოვენი 1:6 მაასტრიხტი

ალმერე 5:3 ემენი

ვოლენდამი 4:1 ოსი

ჰაარლემი 1:1 იგლსი

როზენდალი 5:0 ჰელმონდი

ვეენდამი 2:1 ვენლო

### თურქეთი

**სუპერლიგა IV ტური**

ბეშიქთაში 3:1 ქონია

### ირლანდია

**თასის მერვედფინალი**

შემროკი 1:1 ბოჰემიანსი

უოტერფორდი 1:1 ლონგფორდი

# იცოდე, რასაც აკეთებ!

## დავსხდეთ, ვიფიქროთ და ვი-თა-მა-შოთ

**ღმერთმა** დაგვიფაროს 2:2-ის მილოცვისგან, რამეთუ ზუსტად ვიცით, რაც მოხდა — „ამერი“ უეფას თასისთვის ბრძოლას, სამწუხაროდ, ქართული ნორმის თანახმად, ზაფხულშივე გამოეთიშა, ისე, რომ შეჯიბრების ძირითად ნაწილშიც ვერ მოხვდა. თბილისურმა გუნდმა ბერლინში „ჰერტასთან“ 0:1 წააგო (მერე რა, რომ გოლი 93-ე წუთზე გაუშვა), შინ კი 2:2 ითამაშა (მერე რა, რომ ორჯერ იგებდა, ხოლო მეორე გოლი ოფსაიდიდან გაუტანეს) და ევროასპარეზობა დაამთავრა. მოკლედ, მისალოცი არაფერია, რადგან იმას, რომ არ შერცხვა, მისალოც ამბად არ მივიჩნევთ.

დიახ, შეიძლება ვილაპარაკოთ იმედგაცრუებაზე, გულის დაწყვეტაზე და ამ გრძნობათა მონათესავე სხვა გრძნობებზე, მაგრამ არ შერცხვენით წაგების სიხარულზე ლაპარაკიც ზედმეტია — თავმოყვარეობის საკითხია. კაცი, გუნდი, ქალაქი თუ ქვეყანა რომ არ უნდა შერცხვე, ამას ბევრი განხილვა არ სჭირდება. მოწინაალმდეგე გერმანული გუნდი იყო? მერე რა.

ამრიგად, თუ იმაზე შევთანხმდით, რომ საზეიმო არაფერია, მოდი, იმის გარკვევა ვცადოთ, აბა, რას უნდა მივხვდეთ „ამერისა“ და „ჰერტას“ დაპირისპირების შემდეგ. ვფიქრობთ, იმას, რომ მოგება შეიძლებოდა... ყოველ შემთხვევაში, გაისად შეიძლება. აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ — ამას რომ ვამბობთ, უშუალოდ „ამერის“ გარდა ზოგადად ქართულ გუნდსაც ვგულისხმობთ, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ ისეთს, დღეიდან გაისამდე მორიგ კორუფციულ წელიწადს რომ არ გადაავორებს. მოიგებ, თუ ფეხბურთის თამაშში ივარჯიშე და არა თამაშების ჩაწყობაში.

დიახ, მოგება შეიძლებოდა და ძალიან გულდასაწყვეტია, ასე რომ არ მოხდა, თუმცა რაც იყო, იყო, ახლა უნდა დავსხდეთ და ღრმა ანალიზსა და მუშაობაში ჩავეფლოთ. უნდა ამოვიცნოთ, რა დაგვაკლდა პირველ შეხვედრაში, ბერლინში, სადაც „ჰერტამ“ სულ რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ 93-ე წუთზე მაინც გაიტანა. უნდა ამოვიცნოთ, რატომ გაგვითანაბრეს ბერლინელებმა თბილისში ორივეჯერ — ზოგადად, ქართულ დაცვას სჩვევია, როგორც თავად ამერელმა თქვა, მეტოქეს უცებ „ძეტსკი მატს“ ჩაასმევინებს ხოლმე. ეს ყველაფერი უნდა ამოვხსნათ და პრაქტიკულ ცოდნაშიც გადავიტანოთ, რასაც, ეჭვი არ არის, „ამერის“ თავკაცი გიორგი ჩიხრაძე იზამს კიდეც. უნდა გავიზარდოთ, რათა გაისად 93-ე წუთზე აღარ გავუშვათ და უპირატესობა შევინარჩუნოთ. უნდა გავიზარდოთ, რათა „ევროსპორტის“ კომენტატორის სმენისას მთელი მატჩის განმავლობაში აღარ ვგრძნობდეთ, რომ ამ კაცს ძალიან უკვირს, ვილაცისთვის წინაალმდეგობის გაწევა რომ შეგვიძლია. უნდა გავიზარდოთ საკუთარ თვალშიც, იქამდე მაინც, რომ კარგი წაგებით კმაყოფილების სულელური განცდა ერთხელ და საბოლოოდ ამოიშანთოს დაჩაჩანაკებული ქართული გულიდან.

იცით, კიდევ რა თქვა იმ „ევროსპორტის“ კომენტატორმა? იქნებ თბილისელებს თამაში ცოტა ადრე მაინც დაენიშნათ, თორემ გვახსოვს, ერთხელ რუსეთთან საღამოს რომ ითამაშეს, სტადიონზე სინათლე ჩაუქრათო, მერე დაამატა, თუმცა, ალბათ იციან, რასაც აკეთებენო.

აი, სწორედაც! „ამერისა“ და „ჰერტას“ შეხვედრაში გამოჩნდა, რომ თბილისელებმა იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ. ჩვენ აღარ ვნახეთ მოლასლასე ქართული გუნდი, რომლის თერთმეტ ლანდს მეტოქე ჩაურბენს და ჩამოურბენს, ჩვენ ვნახეთ გუნდი, რომელსაც მოგება შეეძლო... მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოიგო.

**პაპუნა ძიძია**



მამუკა გუგეშაშვილი



კახა ცხადაძე

# ბოლნისში საქმე ხშირადაა არევაზე როდემდე?

**გუშინწინ** საქართველოს ჩემპიონატის პირველი ტურის გადადებულ შეხვედრისას, „სიონი" — „ოლიმპი", ინციდენტი მოხდა: თამაშის შემდეგ ამ მატჩში დისკვალიფიცირებულ „სიონის" მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე და მატჩის დელეგატი შოთა ბაქრაძე შელაპარაკდნენ — ამ არასასიამოვნო შემთხვევის მიზეზი გაურკვეველია, რადგან ბაქრაძე ოდენ მატჩის ორგანიზაციულ საკითხებზე იყო პასუხიმგებელი და მსაჯობის შეფასება მატჩის დელეგატის კომპეტენციაში არ შედის.

რაც შეეხება ინციდენტს ბოლნისი-თბილისის გზაზე, თვითმხილველები ამბობენ, რომ „მერსედესის" ჯიპს, რომელსაც „ოლიმპის" ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა გუგეშაშვილი მართავდა და რომელშიც ბოლნისის ყოფილი გამგებელი და „სიონის" ექსპრეზიდენტი ზურაბ ჯაფარიძეც იჯდა, მანქანა დაედევნა, რომელშიც იარაღიანი პირიც იჯდა...

საქმეში უკეთ გარკვევა კი ვცადეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ინციდენტი ვილაცის თხოვნით თუ მითითებით უნდა ჩაიფარცხოს...

რაც შეეხება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პოზიციას, ფედერაციაში გვითხრეს, რომ ჯერ უცნობია, როდის გაიმართება სადისციპლინო კომიტეტის სხდომა, რამეთუ ამ ამბავს დეტალური კვლევა სჭირდებაო.

**ლუკა თალაკვაძე**

# ხიზანიშვილი საფრანგეთს ჩელსით უახლოვდება



**2 სექტემბერს** ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნული ნაკრები მეორე მატჩს გამართავს — ეროვნულ სტადიონზე საფრანგეთს უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრებში საამმატჩოდ გამოძახებულთა სია მომავალ კვირაში გამოცხადდება. ძალიან საეჭვო იყო საფრანგეთთან ბლექბერნელი ზურაბ ხიზანიშვილის თამაში, მაგრამ ზურამ სამი დღის 90 წუთი ჩაატარა ინგლისურ პრემიერლიგაში „ევერტონთან", ხოლო ხვალ „ბლექბერნი" ლონდონის „ჩელსის" მასპინძლობს და BBC იტყობინება, ხიზანიშვილი სამატჩო განაცხადში იქნებაო. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ხიზანიშვილს მტკივანი საზარდული უკეთ აქვს და 2 სექტემბერს საფრანგეთთან თამაშიც უნდა შეძლოს. გუშინ ხიზანიშვილს რომ დავურეკეთ, თავადაც გვითხრა, საფრანგეთთან ვითამაშებო...

— ბევრად უკეთ ვარ, თუმც საზარდული ცოტათი მაინც მაწუხებს, ტკივილმა ბოლომდე მაინც არ გამიარა.

**— ექიმებმა მტკივანი საზარდულით თამაშის უფლება მოგცეს?**

— საზარდული თამაშის და ვარჯიშის შემდეგ მაწუხებს. „ევერტონთან" გამაყუჩებლით ვითამაშე და „ჩელსისთანაც" ალბათ იგივე მომიწევს. ჩემს საზარდულს ყველაზე უფრო ახლა დასვენება შველის და ვარჯიშებზე დიდ დატვირთვებს ვერიდები. ვარჯიშის წინ და შემდეგ ადგილობრივ მასაჟს მიკეთებენ, სხვებივითაც ვმკურნალობ.

**— „ჩელსისთან" თამაშზე რას იტყოდი?**

— წინა სეზონში „ჩელსის" შინ 1:0 კი მოვუგეთ, მაგრამ იმ დროისთვის „ჩელსი" უკვე ჩემპიონი იყო, ხოლო ჩვენ ძალიან გვჭირდებოდა გამარჯვება. მოკლედ, ახლა სულ სხვა თამაში იქნება...

**— 2 სექტემბერს კი ალბათ შეძლებ ნაკრებში თამაშს...**

— ეგრეა, საფრანგეთთან ვითამაშებ.

**დავით თამართქილაძე**

## საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა | წრე. 4 ტური

# ვის სანახავად წავა ტოპი?

## მცხეთაში კოჭებს არ დაზოგავენ

**27 აგვისტოს**, ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ტურის დღეს, საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი თბილისში ჩამოვა და ვინძლო-ერთ-ერთ თამაშსაც დაესწროს.

ტურის მთავარი მატჩი მცხეთაში გაიმართება — „ზესტაფონი" იმ სამ გუნდში შედის, მეთვრამეტე ეროვნულში ჯერ გოლი რომ არ გაუშვია და ხვალ მორიგი გამოცდა „ვიტ ჯორჯიასთან" ელის. „ზესტაფონს" ძალიან კარგ ფორმაში ჰყავს ეროვნული ნაკრების მეკარე გრიგოლ ჭანტურია. წინა ტურში მან დიდებულად ითამაშა რუსთავის „ოლიმპთან" და არა გვგონია, ვიტელებმა ის უსაქმოდ დატოვონ. ზესტაფონელები მეტოქის სტანდარტულებს ძალიან უნდა უფრთხილდნენ — ჩაწოდებების თავურით დაგვირგვინება „ვიტ ჯორჯიას" ერთ-ერთი იარაღია.

თავისი კოზირები აქვს „ზესტაფონსაც", რომელსაც მერაბ კოჭლაშვილი წვრთნის — ის ადრე სწორედ „ვიტ ჯორჯიაში" მუშაობდა და თავის ყოფილ გუნდზე ვინძლო დეტალური ინფორმაციაც ჰქონდეს. იმასაც შეგახსენებთ, რომ „ვიტ ჯორჯია" 2004 წელს საქართველოს ჩემპიონი სწორედ კოჭლაშვილის დროს გახდა...

ბორჯომი. 27 აგვისტო. 17 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — მერანი**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; მ. ნაკაიძე, ზ. ერქვანია; კ. ჭაჭუა

ბათუმი. 27 აგვისტო. 17 საათი. დინამო

**ბათუმი — სიონი**

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. ტეფნაძე, გ. ცირდავა; დ. ხარიტონაშვილი

თბილისი. 27 აგვისტო. 18 საათი. მიხეილ მესხი

**დინამო — ტორპედო**

მსაჯები: ლ. სილაგავა; მ. ელიკაშვილი, ბ. ჭიჭინაძე; ვ. ელისაბედაშვილი

საჩხერე. 27 აგვისტო. 17 საათი. ცენტრალური

**ჩიხურა — კახეთი**

მსაჯები: დ. სანაია; ნ. რუსიშვილი, კ. გაბრიაძე; პ. დოგრაშვილი

რუსთავი. 27 აგვისტო. 17 საათი. ფოლადი

**ოლიმპი — ლოკომოტივი**

მსაჯები: ო. ხეცაძე; გ. ჩიგოგიძე, ს. სპიცინი; გ. ვადაჭკორია

გორი. 27 აგვისტო. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**დილა — ამერი**

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; ზ. ხუციშვილი, ა. კოკაია; მ. ბეუქლიშვილი

მცხეთა. 27 აგვისტო. 17 საათი. არმაზი

**ვიტ ჯორჯია — ზესტაფონი**

მსაჯები: მ. მაისურაძე; ლ. მიქელაძე, ლ. თოდრია; ო. მოლოდინაშვილი

იყო დრო, თბილისის „დინამოს" და ქუთაისის „ტორპედოს" შეხლა ჩვენი ჩემპიონატის ყველაზე ინტრიგულ და მწვავე დაპირისპირებად ითვლებოდა. ახლა არც „დინამოა" ის „დინამო" და არც „ტორპედოა" ის „ტორპედო", მაგრამ ამ დაპირისპირებას აქვს ის ძალა, რომელიც ყოველთვის ლვივის და იქნებ ხვალინდელი „დინამო" — „ტორპედოც" არ გამოვიდეს რიგითი, უბრალო თამაში.

ბათუმურ მატჩში ფავორიტი „სიონი" უნდა იყოს, თუმც ჩემპიონმა გუშინწინ უნიათოდ ითამაშა „ოლიმპთან" და თუ მკვეთრად ვერ გამოასწორა საქმე, აჭარიდან ქულების წაღება ძალიან გაუჭირდება.

სამ თამაშში ვერც ერთი გოლი — საჩხერის „ჩიხურას" ფეხბურთელები ახლა ალბათ ქაცვებს ილესავენ — ნავსის გატეხვას თელავის „კახეთთან" შეეცდებიან. „კახეთი" ცხრილის ბოლოში კია, მაგრამ ჯერჯერობით ვერც „ჩიხურა" ყოჩაღობს და ვინ იცის, იქნებ საჩხერეში ყველაფერი ისე არ მოხდეს, როგორც ეს თვალის ერთი შევლებით ჩანს.

ბერლინის „ჰერტასთან" ორმატჩიანმა ჯახმა კიდევ უფრო კარგად გამოაჩინა თბილისის „ამერის" ძალა — ევროპულ გუნდებთან თამაში ხომ საამისოდ საუკეთესო ლაკმუსია. ახლა ალბათ ეჭვი აღარავის ეპარება იმაში, რომ „ამერი" ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატია — შესაძლოა, ეს თამამი ნათქვამი იყოს, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან რეალურია. ჰოდა, არა გვგონია, „ამერს" გორიდან სამი ქულის წამოღება გაუჭირდეს მიუხედავად იმისა, რომ 24 აგვისტოს „ჰერტას" დიდი ჯანი შეალია.

24 აგვისტოსვე, პირველი ტურის გამოტოვებულ შეხვედრაში, როგორც უკვე ვთქვით, „ოლიმპმა" სტუმრად 1:0 დაამარცხა „სიონი" და ოლიმპელთა მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელ გიორგი კიკნაძეს კლუბი ალბათ კიდევ უფრო დიდ ნდობას გამოუცხადებს — კიკნაძე მოვალეობის შემსრულებელი კი არა, მთავარი მწვრთნელი აღარ იქნება. თუმც, ვნახოთ, დაველოდოთ „ოლიმპის" „ლოკომოტივთან" მატჩსაც. „ლოკომოტივს" რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც ჰყავს და რამდენიმე კარგი ახალგაზრდაც, ამიტომ მასთან სუსტი კონცენტრაციით თამაში ხეირს ალბათ არავის მოუტანს.

ბორჯომში კი ფავორიტი „ბორჯომია" და, თუ „მერანი" ასე არ ფიქრობს, ამის ხელოვნურსაფარიან მოედანზე დამტკიცება მოუწევს...

**დავით თამართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| ოლიმპი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:0 | 7 |
| ზესტაფონი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 9:3 | 6 |
| ტორპედო | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ბორჯომი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| მერანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| ბათუმი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| ჩიხურა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |
| დილა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:9 | 1 |
| კახეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | 0 |

## ძვირფასო გულშემატკივრებო

სფფ გატყობინებთ, რომ 2 სექტემბერს საქართველოს და საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრაზე დასასწრები ბილეთების დაჯავშნა შეწყვეტილია. ბილეთები გაიყიდება 26 აგვისტოდან ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, ხოლო 27 აგვისტოდან მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზეც. უეფას მიერ შემუშავებული უსაფრთხოების ნორმების მიერ თამაშის დღეს ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე ბილეთები არ გაიყიდება. მათი რეალიზაცია მხოლოდ „მიხეილ მესხის" სტადიონის სალაროებში მოხდება.

აბონემენტების დაჯავშნის მსურველებმა უნდა დარეკონ ტელეფონის ნომერზე 877 99 09 70. საკონტაქტო პირი ირაკლი ნაკაიძე. აბონემენტების დაჯავშნის ბოლო ვადაა 30 აგვისტო. მათი ხელახალი დაჯავშნა და გაყიდვა მოხდება 7 სექტემბრიდან. აბონემენტის მფლობელებს საშუალება ექნებათ, დაესწრონ შესარჩევი ციკლის ყველა მატჩს, აგრეთვე თურქეთის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრას. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 29 აგვისტოდან ამოქმედდება დაჯავშნული ბილეთების და აბონემენტების გაყიდვის სპეციალური სალარო.

უეფას მოთხოვნის შესაბამისად, ბავშვები სტადიონზე უფასოდ არ დაიშვებიან.

ბილეთების და აბონემენტების ფასები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბილეთი — 80 | აბონემენტი — 310 | ბილეთი — 30 | აბონემენტი — 115 |
| ბილეთი — 50 | აბონემენტი — 200 | ბილეთი — 15 | აბონემენტი — 63 |
| ბილეთი — 40 | აბონემენტი — არ არსებობს | ბილეთი — 7 | აბონემენტი — 32 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

EXCLUSIVE



ეს ამბავი ცოტათი თბილისურ ისტორიას ჰგავს: რაღაც საქმეზე ძველი ნაცნობის დაჭერა რომ გინდა და მისი მობილური ტელეფონის ნომრის გასაგებად მთელ ქალაქს რომ შეაწრიალებ. დიეგო მარადონას ძებნა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დავიწყე და ბოლოს მივაგენი კიდეც. მასთან სატელეფონო ინტერვიუს დიდი ჩხრეკა-ძიება და მოლაპარაკებები უძღვოდა. ნახევარსაათიანი საუბრიდან რაც გამოდნა, ქვემოთ წაიკითხავთ. სხვანაირად კი, ხეირიანად არც მახსოვს, რაზე ვლაპარაკობდით: მხოლოდ ჩანაწერის გაშიფვრის დროს მახსენდებოდა. ჩვენ, ვისაც ფეხბურთი მან შეგვაყვარა, ამ თამაშის სხვა მეფე არასდროს გვყოლია და კაცი ყოველთვის სხვანაირად გრძნობ თავს, როცა მეფეს ელაპარაკები. სინამდვილეში კი, მარადონა არანაირი მეფე არ არის, უფრო სწორად, მეფობის არაფერი სცხია. უბრალოდ, ეს არის კაცი, რომელმაც თავისი გენიალური ნიჭის წყალობით ცხოვრების ათას უბედურებას გაუძლო და ამავე ნიჭის წყალობით სრულიად წარმოუდგენელ ადამიანურ ძალას აფრქვევს. დღეს, როცა დიეგო ფეხბურთს აღარ თამაშობს, არ ფიქრობ მხოლოდ მის ფეხბურთზე. როგორღაც ისე გამოდის, რომ ფიქრობ მარადონაზე მთლიანად: მის ცხოვრებაზე, რომელიც მთელმა მსოფლიომ იცის, მის ძალაზე, რომელიც მოუხელთებლად ეშმაკური, მაგრამ საბოლოოდ მაინც კეთილია და იმაზე, რომ

# სამყარო საკმაოდ მოსაწყენი იქნებოდა მარადონას გარეშე, მარადონასნაირები კი თითქმის არ არიან



### ბაჩო სვანიძე

*დიეგო გისმენთ — ეს იყო მარადონას პირველი სიტყვები, ბუენოს აირესში წინასწარ შეთანხმებულ ნომერზე რომ დავუკავშირდით. მანამდე კი იყო მიმოწერა მის პრესმდივან გილერმო კამპაროლოსთან და...*

*უსმინეთ დიეგოს...*

**— დიდი მადლობა, ინტერვიუზე რომ დაგვთანხმდით. არ გვეგონა, თუ მოიცლიდით, თქვენმა პრესმდივანმა გვითხრა, ძალიან დაკავებულიაო...**

— დიახ, ძალიან მოუცლელი ვიყავი, ბევრი საქმიანი შეხვედრა მქონდა. პირადი საქმეებიც უნდა მომეგვარებინა... ახლა ცოტა ამოვისუნთქე.

**— მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ უხასიათოდაც იქნებოდით. ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

— ვერ ვიტყვი, რომ მშვენივრად... ამ მსოფლიოს ჩემპიონატმა თორმეტი წლის წინანდელი მუნდიალი გამახსენა. მაშინ ყველაზე მაგარი გუნდი გვყავდა, ბატისტუტა დაფრინავდა, ბალბო თავისი ბებერი ფეხებით შეუდარებელი იყო, კანიჯა ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობდა, უკან ოსკარ რუჯერი და ხოსე შამოტი იდგნენ...

**— თქვენი თავი დაგავიწყდათ...**

— ის ჩემი ბოლო ჩემპიონატი იყო. ვერ წარმოიდგენთ, როგორ არაადამიანურ რეჟიმში ვიყავი, ფორმა რომ აღმედგინა. დროებით ოჯახზეც კი ვთქვი უარი, ოღონდ მევარჯიშა, მევარჯიშა და მევარჯიშა. მერე ეს გაუთავებელი დიეტები... დოპინგის მიღება აზრადაც არ მქონია. რომ დაინახეს, ჩვენი შემჩერებელი არავინ იყო, არგენტინას მარადონა არაკაცურად, ყველაზე მზაკვრული გზით გამოაცალეს. მე კი გულის დიდი ნაწილი ამომგლიჯეს, ოცნება წამართვეს... როდესაც საბერძნეთი ძალიან ლამაზი ფეხბურთით გავანადგურეთ, „კანის“ ვუთხარი, მეშინია, იქ „ზევით“ მყოფებმა რამე არ დაგვმართონ-მეთქი. „კანი“ მშვიდად შეხვდა ჩემს სიტყვებს, დაწყნარდი, დიეგო, ყველას მოვერევითო. ვერავის წარმოედგინა, რომ ასეთი ულმერთო ხერხით დაგვსჯიდნენ ლამაზი ფეხბურთისთვის. დიდი-დიდი, მსაჯებისგან წითელ ბარათებს ველოდით, ამიტომ მაქსიმალურად თავშეკავებულები ვიყავით. საბოლოოდ რაც მოხდა, კარგად იცით.

**— გინდათ თქვათ, რომ ამ მსოფლიოს ჩემპიონატზეც არგენტინას არასაფეხბურთო ხერხებით ებრძოდნენ?**

— არა, უბრალოდ, მაშინაც და ახლაც არგენტინას მართლა საჩემპიონო გუნდი ჰყავდა. უკვე კარგა ხანია, თორმეტი წელია, არგენტინას ასეთი შემტევი, ლაღი და ლამაზი ფეხბურთი არ უთამაშია. ან რა გოლები გაიტანეს ბიჭებმა... ვუყურებდი მათ თამაშს და, როგორც არასდროს, ისე მინდოდა ამ გუნდში ერთი წუთი მაინც მეთამაშა. ამი-



# დიდი ეგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ მწყდება ასე ძალიან გული, ეს დიდი იმედგაცრუება იყო...

**— თქვენი აზრით, რა იყო არგენტინის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი?**

— მწვრთნელის, ხოსე პეკერმანის უდიდესი შეცდომა. პეკერმანმა დააყენა მშვენიერი გუნდი, ათამაშა ლამაზი ფეხბურთი, მაგრამ ყველაზე გადამწყვეტ მომენტში არ იცოდა, რა ექნა. პეკერმანმა არგენტინის ახალგაზრდული ნაკრები რამდენჯერმე გახადა მსოფლიოს ჩემპიონი. სავიოლა, დალესანდრო, მაქსი, ტევესი მან აქცია ვარსკვლავებად, მაგრამ იგი არ აღმოჩნდა მზად დიდი ფეხბურთისთვის.

**— პეკერმანის წასვლის შემდეგ გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს ნაკრების მწვრთნელობას თქვენ გთავაზობდნენ...**

— ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. ეგ ამბავი მხოლოდ კულუარულად ვიცი. არა მგონია, სერიოზული საუბარი ყოფილიყო, რადგან არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან ხულიო გრონდონასთან ნაჩხუბარი ვარ.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ის ფიფაშიც მაღალჩინოსანია და მათი წესებით თამაშობს. როდესაც ჩემი პატიოსნება და ქვეყნის სიყვარული, არგენტინის პრესტიჟი ფეხქვეშ ითელებოდა კაბინეტში შემალული ფიფას თავკაცების მიერ, გრონდონამ თავისი ქვეყანა ერთი სიტყვითაც არ დაიცვა, პირიქით, სკამის დაკარგვის შეეშინდა და ისედაც დათრგუნული ბიჭები მთლად გაანადგურა. მე ჩემ თავზე არ ვლაპარაკობ, გრონდონასნაირებს როგორმე თავად მივუჩენ საკადრის ადგილს. მე ჩემს გუნდზე მწყდება გული, გრონდონამ ფიფას თავკაცებისგან რომ არ დაიცვა. ამას მოჰყვა ის, რომ უჩემოდ დარჩენილი და სულიერად განადგურებული არგენტინა, იმის მაგივრად, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარიყო, რუმინეთთან დამარცხდა.

**— რომ არა გრონდონასთან დაპირისპირება, ნაკრების მწვრთნელობისთვის მზად იყავით?**

— ასე ვერ ვიტყოდი... ნაკრებს უკვე ჰყავს მთავარი მწვრთნელი ალფიო ბასილე, ვისი დანიშვნის მომხრეც ვიყავი. ბასილეს დროს, 1994 წელს, ნაკრებში ვთამაშობდი და ვიცი, რა დიდი გუნდი იყო. ბასილეს უყვარს შეტევა და ლამაზი ფეხბურთი. მე მხოლოდ ის მინდა, რომ სამწვრთნელო შტაბში ვიყო და ბიჭებს აუუხსნა, რას ნიშნავს არგენტინის ნაკრებში თამაში. ბასილე დამპირდა, როდესაც მთავარი მწვრთნელი გახდებოდა, დამირეკავდა და გუნდის მომავალზე ვისაუბრებდით. მას ეს არ გაუკეთებია, რაც ძალიან მეწყინა, არ მიყვარს, როდესაც მპირდებიან და მატყუებენ. ეტყობა, ჩემი და გრონდონას დაპირისპირებამ ამაზეც იქონია გავლენა.

**— არგენტინის ნაკრების მომავალს როგორ ხედავთ?**

— გუნდი მესიზე და ტევესზე უნდა აეწყოს. ბოლო ხუთი წელია, ასეთი მოთამაშეები არგენტინაში კი არა, მგონი, მსოფლიოშიც არ გამოჩენილან. თუ არ ჩავთვლით რონალდინიოს.

**— რიკელმე? მასზე ამბობდნენ, ახალი მარადონააო...**

— რიკელმე ჩემთვის შვილობილივითაა. მასზე ბევრი ამაგი მაქვს და რჩევებსაც ხშირად ვაძლევ. რიკელმემ იცის ჩემი აზრი... მითხარით რამდენი წლისაა ახლა რიკელმე? ესე იგი, ვერ გამოვიდა მეორე მარადონა.

**— და მესი?**

— მესი უკვე ვარსკვლავია და მას შეუძლია, გუნდის ლიდერი იყოს, მაგრამ საერთოდ წინააღმდეგი ვარ ასეთი შედარებების. 15-16 წლის ბიჭებს უკვე მე მადარებენ, რაც მათზე ცუდად მოქმედებს. რიკელმე ზედმეტმა ყურადღებამ და ზეწოლამ ვერ გახსნა ბოლომდე. მარადონად მონათვლა მეტისმეტი ტვირთია ჭაბუკი ფეხბურთელისთვის.

**— დღეს ვინ მიგაჩნიათ არგენტინაში საუკეთესო ფეხბურთელად?**

— მესი და ტევესი.

**— მსოფლიოში?**

— მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი დღესდღეობით არავინაა. თითქმის ყველა ერთი დონისაა, ვერავის გამოვარჩევ.

**— ბევრი ითქვა, მაგრამ მაინც: თქვენი აზრით — პელე თუ მარადონა?**

— მე ხალხმა მაღიარა და ეს ჩემთვის ყველაზე დიდი პატივია. ამ თემაზე სხვას ვერაფერს გეტყვით.

**— პელესთან უბრად იყავით, ახლა როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ნაჩხუბრები არასდროს ვყოფილვართ. უბრალოდ, პელე ზოგჯერ დაუფიქრებლად და ირონიულად ლაპარაკობდა ჩემზე. არცთუ დიდი ხნის წინ პელეს ოჯახური პრობლემა შეექმნა, მისი შვილი ნარკოსკანდალში გაეხვა. რასაც მე უსამართლოდ წამომაძახებდა-ხოლმე, ბედის ირონიით თვითონ დაემართა. მე კი პირიქით მოვიქეცი, კაცურად დავუდექი გვერდში. დავურეკე, დახმარებას დავპირდი, ჩემს ტელეგადაცემაშიც კი მოვიწვიე და ალალად ვესაუბრე. პელე მიხვდა, რომ ცდებოდა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მჯერა და დღეს კარგი ნაცნობები ვართ. ჩვენ შორის წყენა აღარ არსებობს.

**— ინგლისელები თუ შემოირიგეთ? „ღმერთის ხელს“ ვგულისხმობ...**

— სხვათა შორის, მუნდიალზე გარი ლინიკერს ვესაუბრე და ის გოლი კიდევ ერთხელ გავიხსენეთ. შევთანხმდით, რომ ფეხბურთელმა სხეულის ყველა ნაწილით უნდა იცოდეს გოლის გატანა. ეს არის პროფესიონალიზმი. ის გოლი კი ღმერთისგან ბოძებული იყო და ამიტომაც შევარქვი „ღმერთის ხელი“.

**— ზიდანის საქციელს ამართლებთ?**

— თავის დროზე ჩემი არაორდინარული ქცევის გამო მიწასთან მასწორებდნენ. გარედან ადვილია ადამიანის გაღმერთებაც და განადგურებაც. ზიდანის მჯერა და, დარწმუნებული ვარ, მატერაციმ მას ბევრი საზიზღრობა უთხრა. როდესაც ასეთ მატჩში მთელ შენს არსებას დებ და ამ დროს მეტოქე ფეხბურთზე კი არ ფიქრობს, არამედ ოჯახს გილანძღავს, მანქანა უნდა იყო, რომ ჩაყლაპო. ზიდანი კი მანქანა არ არის, კაცია, რომელიც დიდ ფეხბურთს თამაშობდა... ახლა კი დროა, ინტერვიუ დავასრულოთ.

**— ერთიც: რამდენიმე წლის წინ „ბოკა ხუნიორსში“ ქართველი ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე აპირებდა მოწყობას. თუ გახსოვთ იგი?**

— სამწუხაროდ, „ბოკაში“ მის ყოფნას ვერ ვიხსენებ. ისე კი, ვიცი, რომ ინგლისში წარმატებით თამაშობდა.

**— მინახავს ფოტო, სადაც საქართველოს ნაკრების და ჰოლანდიური „ალკმაარის“ ფორვარდ შოთა არველაძესთან ხართ გადაღებული...**

— დიახ, მახსოვს, მისი თამაშიც ვნახე და მომეწონა. ისე, რომ გითხრათ, ქართულ ფეხბურთს ვიცნობ-მეთქი, მოგატყუებთ. კახა კალაძის თამაშიც მინახავს და ვიცი, რომ ქართველია. სხვებზე ვერაფერს გეტყვით. ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ არც ევროპის და არც მსოფლიოს ჩემპიონატებზე არ გითამაშიათ.

**— ბოლო კითხვა: თქვენმა მეგობარმა ფიდელ კასტრომ მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა, თქვენ კი ის ვერ მოინახულეთ, რატომ?**

— ფიდელ კასტრო ჩემი უახლოესი მეგობარი და მასწავლებელია, მეც ხომ სულით რევოლუციონერი ვარ. მისი ჯანმრთელობის ამბავს გამუდმებით ვკითხულობდი. არ მინდოდა, ჩემი ჩასვლით მძიმე ავადმყოფი შემეწუხებინა. მან იცის, რომ ყოველთვის მის გვერდით ვიქნები და უსამართლობის წინააღმდეგ ერთად ვიბრძოლებთ.









## უეფას თასი 2006-2007
## პირველი ეტაპი

| | | |
|---|---|---|
| ჩერნომორეცი (უკრაინა) | — | ჰაპოელი (ისრაელი) |
| ბრაგა (პორტუგალია) | — | კიევო (იტალია) |
| ლევადია (ესტონეთი) | — | ნიუკასლი (ინგლისი) |
| მიოლდე (ნორვეგია) | — | რეინჯერსი (შოტლანდია) |
| სტანდარდი (ბელგია) | — | სელტა (ესპანეთი) |
| მაკაბი (ისრაელი) | — | ლიტექსი (ბულგარეთი) |
| დერი (ირლანდია) | — | პსჟ (საფრანგეთი) |
| ჰერტა (გერმანია) | — | ოდენსე (დანია) |
| ლეგია (პოლონეთი) | — | აუსტრია (ავსტრალია) |
| პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | — | მეტალურგი (უკრაინა) |
| ლოკომოტივი (რუსეთი) | — | ვარეგემი (ბელგია) |
| სპარტა (ჩეხეთი) | — | ჰართსი (შოტლანდია) |
| ფენერბაჰჩე (თურქეთი) | — | რანდერსი (დანია) |
| ზალცბურგი (ავსტრია) | — | ბლექბერნი (ინგლისი) |
| შალკე (გერმანია) | — | ნანსი (საფრანგეთი) |
| ეთნიკოსი (საბერძნეთი) | — | ლანსი (საფრანგეთი) |
| ლიბერეცი (ჩეხეთი) | — | ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) |
| ალკმაარი (ჰოლანდია) | — | კაისერისფორი (თურქეთი) |
| რუბინი (რუსეთი) | — | პარმა (იტალია) |
| ბრონდბიუ (დანია) | — | აინტრახტი (გერმანია) |
| ატრომიტოსი (საბერძნეთი) | — | სევილია (ესპანეთი) |
| ბეშიქთაში (თურქეთი) | — | ცსკა (ბულგარეთი) |
| სეტუბალი (პორტუგალია) | — | ჰერენვენი (ჰოლანდია) |
| მარსელი (საფრანგეთი) | — | ბოლესლავი (ჩეხეთი) |
| ატვიდაბერგი (შვედეთი) | — | გრასჰოპერსი (შვეიცარია) |
| რაპიდი (რუმინეთი) | — | ნასიონალი (პორტუგალია) |
| ტრაბზონსფორი (თურქეთი) | — | ოსასუნა (ესპანეთი) |
| ბაზელი (შვეიცარია) | — | რაბოტნიჩკი (მაკედონია) |
| ვესტ ჰემი (ინგლისი) | — | პალერმო (იტალია) |
| ფეიენოორდი (ჰოლანდია) | — | ლოკომოტივი (ბულგარეთი) |
| რუჟომბეროკი (სლოვაკეთი) | — | ბრიუგე (ბელგია) |
| სიონი (შვეიცარია) | — | ლევერკუზენი (გერმანია) |
| პარტიზანი (სერბეთი) | — | გრონინგენი (ჰოლანდია) |
| ქსანთი (საბერძნეთი) | — | დინამო (რუმინეთი) |
| სლავია (ჩეხეთი) | — | ტოტენჰემი (ინგლისი) |
| არტმედია (სლოვაკეთი) | — | ესპანიოლი (ესპანეთი) |
| ვისლა (პოლონეთი) | — | ირაკლისი (საბერძნეთი) |
| ლივორნო (იტალია) | — | პაშინგი (ავსტრია) |
| დინამო (ხორვატია) | — | ოსერი (საფრანგეთი) |

*პირველი მატჩები გაიმართება 14 სექტემბერს, საპასუხოები — 28 სექტემბერს.*

# გრავესენი ხომ არ გინახავთ?
## კაციჭამია კურდღელივით გაიპარა




**„რეალს"** ტომას გრავესენი გაექცა. დანიელმა „კაციჭამიამ" აღარ მოუცადა, ფაბიო კაპელო როდის გააგდებდა გუნდიდან და მადრიდიდან თავად წავიდა.

ვალდებების საწვრთნელ ბაზაზე კაპელომ ხუთშაბათს შეამჩნია, რომ გრავესენი ვარჯიშს არ ესწრებოდა. მადრიდელებმა გაიკითხ-გამოკითხეს და დანიელი სამშობლოში აღმოაჩინეს. თავხოტორა „კაციჭამია" მშობლიურ გუნდ „ვეილეში" იმყოფება და სამომავლო ბედის გადაწყვეტას იქ ელოდება.

ტომას გრავესენი ბოლო ჟამს „რეალზე" გულაღრენილი იყო. ჩრდილოელი გრძნობდა, იტალიელი თავკაცის სამომავლო გეგმებში რომ არ შედიოდა და ამაზე განერვიულებულმა „ბერნაბეუზე" რამდენჯერმე დებოში მოაწყო. მისი სკანდალებიდან ყველაზე ცნობილი, ბრაზილიელ რობინიოსთან საწვრთნელ მოედანზე ხელჩართული ჩხუბი იყო, რომლის შემდეგაც გაბრაზებულმა ფაბიო კაპელომ კლუბის უფროსობას მოურჯულებელი ხულიგნის ჯანდაბას იქით გაგზავნა სთხოვა.

შეიძლება, ტომასმა თამაში ინგლისურ „ნიუკასლში" ან შოტლანდიურ „სელტიკში" გააგრძელოს. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთელის აგენტი სივებაკი აცხადებს, ბრიტებთან და სქოთებთან მოლაპარაკებას ერთდროულად ვაწარმოებთო.

**ლადო ხომერიკი**

# აბა, მაისურა აიწიე!
## რონალდო, შავ-წითელი გაცვია?




**ხუთშაბათს** მადრიდულმა გაზეთებმა დიდის ამბით გამოაცხადეს, „მილანთან" მოლაპარაკება ჩაიშალა და კიჭა ისევ „ბერნაბეუზე" რჩებაო.

გუშინ კი ბრაზილიურმა „ო გლობომ" იყვირა საქვეყნოდ, „მილანთან" საქმის გაფუჭება თვალის ასაბმელად მოგონილი ბლეფია და სინამდვილეში რონის უკვე სამეფო თეთრი მაისურის ქვეშ „როსონერის" შავ-წითელი აცვიაო... მოკლედ, აირია საქმე. „რეალის" უფროსობა, ამ დროს, ბრაზილიელის გუნდიდან წასვლას კვლავინდებურად მტკიცედ უარყოფს.

„მილანს" და „რეალს" შორის გარიგება უკვე შედგა. რონალდო ბერლუსკონის კლუბში მომავალი 5 სეზონის განმავლობაში ითამაშებს. უბრალოდ, ესპანელებს და იტალიელებს ამ ამბის გახმაურება ჯერ არ უნდათ" — გვამცნობს „ო გლობო".

ბრაზილიური მედიის თამამი ვარაუდი ბევრმა აიტაცა. თუმცა აქ მეორე, სათადარიგო ვარიანტიც უნდა გავითვალისწინოთ. დავუშვათ, „ო გლობო" ცდება და „მილანთან" გარიგება მართლაც არ შედგა. მაშინ...

მაშინ არენაზე „როსონერის" დაუძინებელი მტერი, თანაქალაქელი „ინტერი" შემოდის. მავანი იტალიური ტელეარხი აცხადებდა, „ინტერნაციონალეს" თავკაცმა მორატიმ სიხარულისგან ხელები მოიფშვნიტა, როცა „მილან"-„რეალის" სატრანსფერო კრახის შესახებ გაიგოო. სენიორ მორატი მზადაა, რონალდოს უკან დასაბრუნებლად, „სანტიაგო ბერნაბეუზე" ადრიანო გაუშვას. თუმცა „ინტერმა" იცის, კიჭა ადრიანოს დონით რომ აღემატება და მადრიდელთათვის დამატებით კიდევ 10 მილიონი ევროს მიცემას აპირებს. ეს საქმე არცთუ ისე დაუჯერებელი ჩანს, რადგანაც, უკვე კარგა ხანია, რონი ინტერვიუებში „ინტერნაციონალურ ნოსტალგიას" აღარ მალავს...

ხსენებული სატრანსფერო გაცვლით არც „რეალის" მწვრთნელი კაპელო დარჩება უკმაყოფილო. იტალიელს შემადგენლობაში ორი ბრძოლისუნარიანი, მაღალი დონის ფორვარდი სჭირდება. კაპელოს რუუდ ვან ნისტელროი უკვე ჰყავს, რონალდოც თუ დარჩება, ხომ კარგი, თუ არა და, მის ადგილს თანამემამულე ადრიანო დაიკავებს. ახლა მხოლოდ ისაა გადასაწყვეტი, მადრიდში ადრიანოს ჭირვეულ ხასიათს როგორ მოუვლიან. ოკეანისგაღმელს თავის ადრინდელ გუნდებში მწვრთნელებთან სულ დაკა-დაკა ჰქონდა გაჩაღებული. თუმცა, „ასის" ინფორმაციით, ადრიანოს მოთვინიერების თავდებად ფაბიო კაპელო დაუდგა. „მშვიდად იყავით, ბრაზილიელთან საერთო ენის გამონახვა არ გამიჭირდება" — უთქვამს იტალიელს „რეალის" პრეზიდენტ კალდერონისთვის. დონ ფაბიო კი, როგორც ცნობილია, სიტყვებს ქარს არ ატანს — მაგალითისთვის შეიძლება კაპელოს ძველი შეგირდი, ადრე თავზეხელაღებული ხულიგანი და დღეს ბატკანივით უწყინარი და ფუტკარივით მშრომელი ანტონიო კასანო გავიხსენოთ...

იმ შემთხვევაში, თუ ადრიანომ სამეფო გუნდის ფორმა მოირგო, „ბერნაბეუ" ერთ-ერთმა არაევროკავშირელმა უნდა დატოვოს. „რეალში" არაევროკავშირელთა ლიმიტი უკვე შევსებულია და სავარაუდოდ, მათ სიას ჟულიო ბაპტისტა გამოაკლდება. „შავი მხეცის" შეძენით ინგლისური „ტოტენჰემია" დაინტერესებული.

**ლადო ხომერიკი**

# ქვირფასი თოფი მადრიდელებისთვის

**„არსენალმა"** მადრიდის „ატლეტიკოს" ცივი უარი უთხრა, ხოსე ანტონიო რეიესს ვერ მოგცემთო. შეგახსენებთ, რომ სევილიელი ფორვარდის ხელში ჩასაგდებად მადრიდული გუნდები, „ატლეტიკო" და „რეალი" იბრძვიან. „ათლეტთა" თავკაცობამ „არსენალის" რეიესის სანაცვლოდ 13 მილიონი ევრო შესთავაზა, რაც „მეთოფეებს" ეცოტავათ — ლონდონური კლუბი ხოსეს 18 მილიონად აფასებს.




„ხოსე ანტონიო რეიესი „არსენალში" რჩება და სხვაგან გადასვლას არ გეგმავს" — განაცხადა „მეთოფეთა" ვიცე-პრეზიდენტმა დინმა „სკაი სპორტთან" ინტერვიუში. წესით, ამან „ატლეტიკოს" პრეზიდენტი ენრიკე სერეზო უნდა დაალონოს. „ვისენტე კალდერონის" გუნდის თავკაცი ხომ თეთრ-ალისფერ ფორმაში რეიესის გამოწყობას თავგამოდებით ცდილობდა.

„არსენალს" ხოსე ანტონიო რეიესზე ჩვენი ფასი შევთავაზეთ. მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა. მოხარული ვიქნები, თუ ლონდონური მხარეც დათმობაზე წამოვა და ხოსეს ტრანსფერს ხელს არ შეუშლის" — განაცხადა სენიორ სერეზომ. პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, სევილიელის „ატლეტიკოში" ჩამოყვანა გუნდიდან რომელიმე ფეხბურთელის წასვლას არ გამოიწვევსო.

# უზიდანოდ

უზიდანო პრიმერადივიზიონი დღეიდან გახურდება. „სანტიაგო ბერნაბეუ“ და ესპანეთის სხვა სტადიონები დიადი ფრანგის თავპირიდან ჩამოსული ოფლის წვეთებით აღარ მოირწყვება. მადრიდის „რეალი“ კი, რომელიც გასულ სეზონში საუცხოოდ მოთამაშე ჩემპიონ „ბარსელონას“ 12 ქულით ჩამორჩა, ახალ, პოსტგალაქტიკურ ცხოვრებას იწყებს ფაბიო კაპელოთი და ახალი ფეხბურთელებით. ხოლო „ბარსელონა“ კვლავაც ფავორიტია და ეს ამ ზაფხულის მატჩებში უკვე გამოჩნდა. ესპანეთის სუპერთასი მოიგო და გამპერის თასზე „ბაიერნიც“ დაადუღა. არის კიდევ ერთი გუნდი, რომელიც, შესაძლოა, გაერიოს „რეალ“ — „ბარსელონას“ საჩემპიონო დუელში. ეს გახლავთ „ვალენსია“, საკმაოდ გაძლიერებული და ამბიციური. ალბათ, სჯობს, რომ პირველობისთვის ბრძოლაში სამი-ოთხი გუნდი ირეოდეს, თორემ გადაიქცევა პრიმერადივიზიონი ორი კლუბის ჩემპიონატად



მაჰამადუ დიარას აკრძალული ილეთითაც ვერ აჩერებენ

## ბარსელონა

მწვრთნელი:
ფრანკ რაიკარდი

ზედიზედ ორგზის ჩემპიონის ფეხბურთელთა თუ მწვრთნელის განცხადებით, „ბარსელონა“ ყველა ჯილდოს მოგებას აპირებს შინ და გარეთ. გუნდს საამისო შემადგენლობაც ჰყავს და ამბიციაც არ აკლია. რაც შეეხება ახალწვეულებს — „იუვენტუსიდან“ ჯანლუკა ძამბროტა და ლილიან ტურამი იყიდეს, ხოლო „ჩელსიდან“, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში უნდა შეხვდეს, ეიდურ გუდიონსენი შეიძინეს. „ბარსელონადან“ კი შვედი ჰენრიკ ლარსონი წავიდა.

## რეალი

მწვრთნელი:
ფაბიო კაპელო

იტალიელი იმედოვნებს, რომ „რეალში“ მისი მეორედ მისვლა პირველივით წარმატებული იქნება. კაპელოს ხელში „სამეფო გუნდმა“ 1997-ში პრიმერადივიზიონი მოიგო. მას შემდეგ „გალაქტიკური“ ერა დაიწყო და წლეულს დასრულდა. ახალმა პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა, სიტყვა „გალაქტიკოსი“ ლექსიკონიდან ამოიღო და უნდა, რომ „რეალი“, უბრალოდ, კვლავ კარგი კლუბი გახდეს და არა მაისურების გამყიდველი. კაპელომ სერია **B**-ში ჩაგდებული „იუვენტუსიდან“ ემერსონი და კანავარო გაიყოლა მადრიდში. გარდა ამისა, მაჰამადუ დიარაც იყიდა „ლიონიდან“ და ემერსონ-დიარას საყრდენი წყვილი შექმნა. რაც შეეხება ფორვარდებს — რაულს, რობინიოს, რონალდოს და კასანოს ჰოლანდიელი ვან ნისტელროიც დაემატა, რომელიც ფერგიუსონს აუჯანყდა და „მანჩესტერიდან“ მადრიდში გადაბარგდა. ასეთ „რეალს“, კაპელოს ნიჭს და გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, ჩემპიონობა ძალუძს და, ალბათ, ევროპაშიც იტყვის თავის სიტყვას.

## ვალენსია

მწვრთნელი:
კიკე სანჩეს ფლორესი

ამ გუნდის ყოფილმა ფეხბურთელმა, ახლა კი სპორტულმა დირექტორმა ამადეო კარბონიმ, შემადგენლობის გასაძლიერებლად მთელი ზაფხული იშრომა. „ლივერპულიდან“ ფერნანდო მორიენტესი გადაიბირა, „ჩელსიდან“ — ასიერ დელ ორნო, ხოლო „ბეტისიდან“ — მარჯვენაფლანგელი ხოაკინ სანჩესი. წინა სეზონის მესამეადგილოსანს შეუძლია, რომ ასეთი გუნდით საჩემპიონო ბრძოლაში თამამად ჩაერთოს. მართალია, პაბლო აიმარი „სარაგოსაში“ გაუშვეს, მაგრამ ჰყავთ 20 წლის ნიჭიერი ნახევარმცველი დავიდ სილვა.

## ოსასუნა

მწვრთნელი:
ხოსე ანხელ სიგანდა

ნავარულ გუნდს საუცხოო სეზონი ჰქონდა და ეს, უპირველეს ყოვლისა, მწვრთნელის, ხავიერ აგირეს დამსახურება იყო, რომელიც ამ ზაფხულს მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავიდა და გუნდი სიგანდას დაუტოვა. რთული იქნება ამ სეზონში იმავე შედეგის (მეოთხე ადგილი) გამეორება, მაგრამ, ფაქტია, რომ „ოსასუნა“ ბობოლებისთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაც შეეძლო, თუმც გზა „ჰამბურგს“ დაუთმო. ოსასუნელებმა იყიდეს ირანელი ნახევარმცველი ჯავად ნეკუნამი, მადრიდის „რეალის“ ფორვარდი რობერტო სოლდადო და „ვილიარეალიდან“ ექტორ ფონტი.

## სევილია

მწვრთნელი:
ხუანდე რამოსი

„სევილიამ“ შემადგენლობაც შეინარჩუნა და მწვრთნელიც, რომლის თავკაცობითაც უეფას თასი მოიგო. გუნდი წინა სეზონში მეხუთეზე გავიდა და ახლა უფრო მეტი სურს. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ სამი მაღალი კლასის ფეხბურთელი დაიმატეს. „შტუტგარტის“ მცველი ანდრეას ჰინკელი, „შალკეს“ ნახევარმცველი კრისტიან პოულსენი და „მონაკოს“ ფორვარდი ერნესტო ჩევანტონი, რომელმაც „ბარსელონაში“ დაბრუნებული სავიოლა შეცვალა.

## სელტა

მწვრთნელი:
ფერნანდო ვასკესი

შარშანწინ სეგუნდადივიზიონში გავარდნილი, შემდეგ კი დაბრუნებული „სელტა“ ბევრისთვის სიურპრიზად იქცა, რადგან პირველივე სეზონში შეძლო მეექვსე ადგილზე გასვლა და უეფას თასის საგზურის მოპოვება. 19 საშინაო მატჩიდან 13 მოიგო და ამით მხოლოდ „ბარსელონას“ (15) ჩამორჩა. ნიჭიერი ნახევარმცველი ბორხა ოუბინია და მეგოლე ბაიანო კვლავაც იშტაზე თუ იქნებიან, „სელტა“, ალბათ, ზედა ხუთეულში შესვლას შეძლებს.

## ვილიარეალი

მწვრთნელი:
მანუელ პელეგრინი

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტი ევროტურნირმა ისე გამოფიტა, რომ პრიმერადივიზიონში მე-7 ადგილსღა შესწვდა და „ევროპის გარეშე“ დარჩა. პელეგრინიმ მთავარი ფეხბურთელები შეინარჩუნა და მეტიც, „არსენალიდან“ რობერ პირესი, ხოლო „სოსიედადიდან“ ნიჰათი გადაიყვანა. „ყვითლების“ მიზანი ამ სეზონში კვლავაც საევროთასო ადგილის მოპოვება იქნება.

## დეპორტივო

მწვრთნელი:
ხოაკინ კაპაროსი

ლაკორუნიელებმა ამ ზაფხულს მხოლოდ ერთი, ურუგვაელი ფაბიან ესტოიანოფის შეძენა მოახერხეს. მეკარე მოლინა, ნახევარმცველები: ვიქტორი და მუნიტისი, მცველები: რომერო და სეზარი წავიდნენ, ასე რომ, კაპაროსს ახალგაზრდებთან მოუწევს მუშაობა და ამ გუნდით, ალბათ, ბევრსაც ვერ მიაღწევს.

## ხეტაფე

მწვრთნელი:
ბერნდ შუსტერი

მეორე სეზონია, „ხეტაფე“ ელიტაში ადგილს ინარჩუნებს. მიუხედავად იმისა, რომ მარიანო პერნია, დიეგო რივასი, ხაიმე გავილანი და მეგოლე რიკი გაუშვეს, შუსტერის თქმით, გუნდი სეგუნდადივიზიონში არ გავარდება. ხეტაფელებმა იყიდეს არგენტინელი მეკარე რობერტო აბონდანსიერი და ურუგვაელი ნახევარმცველი ხუან ალბანი.

## ატლეტიკო

მწვრთნელი:
ხავიერ აგირე

ამ ზაფხულს პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი უძვირფასესი ტრანსფერი მადრიდის „ატლეტიკომ“ გაჩარხა. არგენტინული „ინდეპენდიენტეს“ ნიჭიერი სერხიო აგეროს სანაცვლოდ 23 მილიონი ევრო გადაუხადა. გარდა ამისა, მადრიდელებმა შეიძინეს პორტუგალიელი კოშტინია, ბერძენი სეიტარიდისი და „ვალენსიადან“ მიგელ მისტა. „ოსასუნადან“ „ატლეტიკოში“ გადასულმა მწვრთნელმა ხავიერ აგირემ, კლუბის პატრონს ბლომად ფული დაახარჯვინა და გუნდმა ჩემპიონობისთვის თუ ვერა, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად უნდა იბრძოლოს.

## სარაგოსა

მწვრთნელი:
ვიქტორ ფერნანდესი

„სელტადან“ ისევ „სარაგოსაში“ დაბრუნებული ვიქტორ ფერნანდესისგან ქომაგები შემტევ ფეხბურთს ელიან. არაგონულმა კლუბმა ორი არგენტინელი შეიძინა: პაბლო აიმარი და ანდრეს დალესანდრო, ხოლო „მანჩესტერიდან“ მცველი ჟერარ პიკე გადაიბირა. გუნდს ჰყავს კარგი მეგოლეები: გაბრიელ მილიტო და ევერტონი და ამ შემადგენლობით, „სარაგოსამ“ ეგებ ზედა ოთხეულში შეძვრომაც მოახერხოს.

## ბილბაო

მწვრთნელი:
ფელიქს სარიუგარტე

ხავიერ კლემენტემ „ბილბაო“ სეგუნდადივიზიონში გავარდნისგან იხსნა, მაგრამ სეზონის ბოლოს კლუბის სატრანსფერო პოლიტიკის კრიტიკა დაიწყო, რისთვისაც მოხსნეს და მისი ადგილი სარიუგარტემ დაიკავა. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ბასკებმა იყიდეს, ოსასუნელი ნახევარმცველი ხავი მარტინესია. მის სანაცვლოდ 6 მილიონი ევრო გადაიხადეს. ბილბაოელები, ალბათ, კვლავაც ცხრილის შუაში ჩაამთავრებენ სეზონს.

## მალიორკა

მწვრთნელი:
გრეგორიო მანზანო

ვერც წინა სეზონში წყვეტდნენ ციდან ვარსკვლავებს და არც ამ ზაფხულს დაუხარჯავთ ფული ახალი ფეხბურთელების შესაძენად. ერთი კია, რომ ცოტა შეტევაში გამოუკეთდებათ საქმე, რადგან „ბარსელონადან“ არგენტინელი ფორვარდი მაქსი ლოპესი ითხოვეს.

## ბეტისი

მწვრთნელი:
ხავიერ ირურეტა

ისევე, როგორც „ვილიარეალს“, ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე „ბეტისს“ პრიმერადივიზიონისთვის ძალები აღარ ეყო და ცხრილის ქვედა ნაწილში დაასრულა ჩემპიონატი. ლორენსო სერა ფერერი ავენის აეკ-ში წავიდა და იგი ხავიერ ირურეტათი შეცვალეს. გუნდის მთავარი ფეხბურთელი ხოაკინ სანჩესი „ვალენსიას“ მიჰყიდეს და საეჭვოა, რომ „ბეტისმა“ რამე განსაკუთრებული აჩვენოს ამ სეზონში.

## ესპანიოლი

მწვრთნელი:
ერნესტო ვალვერდე

გუნდი მწვრთნელმა მიგელ ანხელ ლოტინამ დატოვა, რომელმაც „ესპანიოლს“ ესპანეთის თასი მოაგებინა. ახალი თავკაცი ვალვერდე კი დარჩა იმავე შემადგენლობასთან, რაც შარშან იყო. გამორჩეული არავინ უყიდიათ და კვლავაც პრიმერადივიზიონში დასარჩენად თუ იბრძოლებს.

## სოსიედადი

მწვრთნელი:
ხოსე მარი ბაკერო

„ბარსელონას“ ყოფილმა ვარსკვლავმა ბაკერომ გუნდი სეზონის მიწურულსღა ჩაიბარა და გავარდნისგან იხსნა. „ვილიარეალში“ ნიჰათისა და „ლივერპულში“ მარკ გონსალესის გადასვლის შემდეგ, „სოსიედადის“ შემადგენლობა კიდევ უფრო დასუსტდა. ერთი ისაა, რომ მეგოლე დარკო კოვაჩევიჩმა ტრავმა მოიშუშა და ისევ ითამაშებს. მისი მეწყვილე შეტევაში დანიელი მორტენ სკოუბო იქნება.

## რასინგი

მწვრთნელი:
მიგელ ანხელ პორტუგალი

პორტუგალი გახლავთ მწვრთნელი, რომელიც „რასინგში“ მისვლამდე მადრიდის „რეალის“ მეორე გუნდს თავკაცობდა. სანტანდერელთა ერთადერთი გამორჩეული ფეხბურთელი პედრო მუნიტისია, რომელიც „დეპორტივოდან“ მშობლიურ კლუბში დაბრუნდა.

## უელვა

მწვრთნელი:
გარსია ტორალი

ესპანეთის უძველესი კლუბი ამ საუკუნეში ერთხელ (2002-2003) უკვე იყო პრიმერადივიზიონში და სამწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაბრუნდა. გუნდმა იყიდა სანტიაგო კასორლა და სესარ არსო „ვილიარეალიდან“.

## ხიმნასტიკი

მწვრთნელი:
ლუის სესარ სამპრედო

56-წლიანი განშორების მერე კატალონიური კლუბი ელიტაში აღზევდა. კლუბმა არცთუ ურიგო ფეხბურთელები შეიძინა: ნახევარმცველები ჟილი და ალეხანდრო კამპანო, ფორვარდები მაკუკულა და ხავიერ პორტილიო.

## ლევანტე

მწვრთნელი:
ხუან რამონ ლოპეს კარო

მწვრთნელის კლასს თუ გავითვალისწინებთ, „ლევანტეს“ პრიმერადივიზიონში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს. კარო ხომ მადრიდის „რეალში“ მუშაობდა გასულ სეზონში. ლევანტელებმა ფრანგები: ლორენ რობერი და ფრედერიკ დეუ გადაიბირეს. ასევე იყიდეს კამერუნელი მეგოლე მეიონგ ზე, რომელიც პორტუგალიის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე გახდა.

# ესპანეთი. პრიმერადივიზიონი 2006-2007




AFP

„ვალენსია“ ფერნანდო მორიენტესით და ასიერ დელ ორნოთი გაძლიერდა

## ბარსელონა

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 25 | ხორკერა | 03.03.79 |
| 1 | ვიქტორ ვალდესი | 14.01.82 |
| 28 | რუბენ მარტინესი | 22.06.84 |
| | **მცველები** | |
| 2 | ჟულიანო ბელეტი | 20.06.76 |
| 15 | ედმილსონი | 10.07.76 |
| 12 | ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი | 05.02.75 |
| 4 | რაფაელ მარკესი | 13.02.79 |
| 23 | ოლეგერი | 02.02.80 |
| 5 | კარლეს პუიოლი | 13.04.78 |
| 16 | სილვინიო | 12.04.74 |
| 21 | ლილიან ტურამი | 01.01.72 |
| 11 | ჯანლუკა ძაბროტა | 19.02.77 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 20 | დეკუ სოუზა | 27.08.77 |
| 24 | ანდრეს ინიესტა | 11.05.84 |
| 3 | ტიაგო მოტა | 28.08.82 |
| 10 | რონალდინიო | 21.03.80 |
| 17 | მარკ ვან ბომელი | 22.04.77 |
| 6 | ხავი ერნანდესი | 25.01.80 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | სამეუელ ეტოო | 10.03.81 |
| 18 | სანტიაგო ესკერო | 14.12.76 |
| 8 | ლუდოვიკ ჟიული | 10.07.76 |
| 7 | ეიდურ გუდიონსენი | 15.09.78 |
| 19 | ლიონელ ანდრეს მესი | 24.06.87 |
| 22 | ხავიერ სავიოლა | 11.12.81 |

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

## რეალი

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | იკერ კასილიასი | 20.05.81 |
| 13 | დიეგო ლოპესი | 03.11.81 |
| | **მცველები** | |
| 5 | ფაბიო კანავარო | 13.09.73 |
| 11 | სისინიო | 24.06.80 |
| 6 | ივან ელგერა | 28.03.75 |
| 2 | მიჩელ სალგადო | 22.10.75 |
| 24 | ალვარო მეხია | 18.01.82 |
| 22 | ფრანსისკო პავონი | 09.01.80 |
| 15 | რაულ ბრავო | 14.04.81 |
| 3 | რობერტო კარლოსი | 10.04.73 |
| 4 | სერხიო რამოსი | 30.03.86 |
| 18 | ჯონათან ვუდგეიტი | 22.01.80 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 23 | დევიდ ბექემი | 02.05.75 |
| 21 | მაჰამადუ დიარა | 18.05.81 |
| 20 | ემერსონი | 04.04.76 |
| 16 | ტომას გრავესენი | 11.03.76 |
| 14 | გუტი | 31.10.76 |
| 8 | ჟულიო ბაპტისტა | 01.10.81 |
| 12 | პაბლო გარსია | 11.05.77 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 19 | ანტონიო კასანო | 12.07.82 |
| 28 | რუბენ დე ლა რედი | 05.06.85 |
| 7 | რაული | 27.06.77 |
| 10 | რობინიო | 25.05.84 |
| 9 | რონალდო | 29.09.76 |
| 17 | რუუდ ვან ნისტელროი | 01.07.76 |

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

## ვალენსია

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 25 | ჟან ლუდოვიკ ბუტელე | 13.04.83 |
| 1 | სანტიაგო კანისარესი | 18.02.69 |
| 13 | ხუან ლუის მორა | 12.07.73 |
| | **მცველები** | |
| 4 | რობერტო აიალა | 12.04.73 |
| 23 | კრისტობალ ტორესი | 27.12.76 |
| 17 | დავიდ ნავარო | 25.09.80 |
| 3 | ასიერ დელ ორნო | 19.01.81 |
| 5 | კარლოს მარჩენა | 31.07.79 |
| 2 | მიგელი | 04.01.80 |
| 24 | ემილიანო მორეტი | 11.06.81 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | დავიდ ალბელდა | 07.12.74 |
| 20 | ალბიოლი | 04.09.85 |
| 8 | რუბენ ბარახა | 11.07.75 |
| 22 | ედუ | 15.05.78 |
| 12 | სტეფანო ფიორე | 17.04.75 |
| 19 | ხაიმე გავილანი | 12.05.85 |
| 16 | უგო ვიანა | 15.01.83 |
| 18 | ხორხე ლოპესი | 19.09.78 |
| 11 | მარიო რეგეირო | 14.09.78 |
| 21 | დავიდ სილვა | 08.01.86 |
| 14 | ვისენტე როდრიგესი | 16.07.81 |
| | ხოაკინ სანჩესი | 21.07.81 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 10 | მიგელ ანხელ ანგულო | 23.06.77 |
| 7 | დავიდ ვილია | 03.12.81 |
| 9 | ფერნანდო მორიენტესი | 05.04.76 |
| | ფრანჩესკო ტავანო | 02.03.79 |

მწვრთნელი: კიკე ფლორესი

## ოსასუნა

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ხუან ელია | 24.01.79 |
| 13 | რიკარდო ლოპესი | 31.12.71 |
| | **მცველები** | |
| 19 | ენრიკე კორალესი | 01.03.82 |
| 7 | სესარ კრუჩაგა | 26.01.74 |
| 5 | კარლოს კუელიარი | 23.08.81 |
| 2 | ხოსე ისკიერდო | 03.08.80 |
| 17 | ხავიერ ფლანიო | 19.08.84 |
| 14 | ხოსე ურტასუნი | 25.02.75 |
| 4 | მიგელ ფლანიო | 19.08.84 |
| 24 | ჯავად ნეკუნამი | 07.09.80 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 16 | დავიდ ლოპესი | 10.09.82 |
| 23 | ლუდოვიკ დელპორტე | 06.02.80 |
| 21 | ექტორ ფონტი | 15.06.84 |
| 20 | ხუანლუ | 18.05.80 |
| 22 | ინიაკი მუნიოსი | 02.07.78 |
| 10 | ფრანსისკო პუნიალი | 06.09.75 |
| 6 | რაულ გარსია | 11.07.86 |
| 11 | ვალდო | 23.04.81 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | სავო მილოშევიჩი | 02.09.73 |
| 20 | ბერნარდო რომეო | 10.07.77 |
| 18 | რობერტო სოლდადო | 27.05.85 |
| 15 | ახილ ვებო | 20.01.82 |

მწვრთნელი: ხოსე ანხელ სიგანდა

## სევილია

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| | დიეგო ბენალიო | 08.09.83 |
| 13 | დავიდ კობენიო | 06.04.82 |
| 1 | ანდრეს პალოპი | 22.10.73 |
| | **მცველები** | |
| 20 | აიტორ ოსიო | 28.11.76 |
| 3 | დავიდ კასტედო | 23.01.74 |
| 19 | ივიცა დრაგუტინოვიჩი | 13.11.75 |
| 14 | ჟულიენ ესკუდე | 17.08.79 |
| 24 | ანდრეას ჰინკელი | 26.03.82 |
| 2 | ხავი ნავარო | 06.02.74 |
| 21 | პაბლო რუისი | 25.02.81 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | ადრიანო კორეა | 26.10.84 |
| 27 | ალფარო | 23.11.86 |
| 26 | ბრუნო ერერო | 13.02.85 |
| 4 | დანიელ ალვეში | 06.05.83 |
| 5 | სერხიო დუდა | 27.06.80 |
